საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 09 სექტემბერი**

დისციპლინური საქმე №206/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 30 ივლისის №-- საჩივრის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 28 დეკემბრის № -- დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 09 სექტემბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- --, რომელიც განიხილავდა მის მიმართ არსებულ სისხლის სამართლის საქმეს, 2018 წლის 09 ივლისის და 16 ივლისის სასამართლო სხდომებზე მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

სასამართლო სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საქმის არსებითი განხილვის 2018 წლის 09 ივლისის სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და დაზარალებულის ინტერესებიდან გამომდინარე, ითხოვა სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვა. სასამართლომ ადგილზე თათბირით დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და დაზარალებულის ჩვენების ნაწილში სასამართლო სხდომა გამოაცხადა დახურულად.

ამავე სასამართლო სხდომაზე, საქმეზე წარმოდგენილმა ბრალდებულმა -- -- სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით და ითხოვა პროცესის გადადება. -- -- სასამართლოს მოახსენა, რომ 2018 წლის 21 ივნისს, შეწყვიტა ადვოკატთან ურთიერთობა და საქმის განხლივაში მონაწილეობდა დამოუკიდებლად. ბრალდებულის განმარტებით, მას სრულყოფილად არ გადაეცა საქმის მასალები და სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა საქმის განხილვის გადადების შესახებ მისთვის საქმის მასალების სრულყოფილად გადაცემამდე. ამასთან, პროცესის მიმდინარეობისას ბრალდებულმა განმარტა, რომ იგი არის ცუდად და ვერ შეძლებდა დაზარალებულის დაკითხვის პროცესში მონაწილეობას.

სასამართლო სხდომის 13:04:14 საათზე, მოსამართლემ ბრალდებულს მიმართა შემდეგი სიტყვებით: „მე არ მეგონა თუ დღეს დაზარალებულის აქ მოსვლაზე უარს იტყოდით“ „დღეს გახდით ცუდად, დღეს

აღარ შეგიძლიათ, რა გემართებათ? კაცი ხომ ხართ ბოლოს და ბოლოს?!“ რამაც გამოიწვია ბრალდებულის უკმაყოფილება და სთხოვა მოსამართლეს, რომ მის „კაცობას“ ნუ შეაფასებდა სასამართლო დარბაზში. აღსანიშნავია, რომ სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას -- -- სასამართლოს მიმართ იჩენდა უპატივცემულობას და არ ემორჩილებოდა მოსამართლის მითითებებს. კერძოდ, ერთ-ერთ ეპიზოდში ბრალდებულმა მოსამართლე შეადარა ნოტარიუსს.

2018 წლის 16 ივლისის სასამართლო სხდომის ოქმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მიმდინარე სასამართლო სხდომაზე ბრალდებულმა დააყენა მოსამართლის აცილების შუამდგომლობა. სასამართლოს შუამდგომლობის მოხსენების პროცესში ბრალდებულმა მოსამართლე დაადანაშაულა ტენდენციურობაში და მისი უფლებების დარღვევაში. მოსამართლემ ბრალდებულს მისცა შენიშვნა და განუმარტა, რომ თუკი იგი განაგრძობდა უპატივცემულო მიმართვებს, მოსამართლე ბრალდებულს გააძევებდა სასამართლო დარბაზიდან. სასამართლომ ადგილზე თათბირით მიიღო გადაწყვეტილება და არ დააკმაყოფილა მოსამართლის აცილების შუამდგომლობა.

ამავე სასამართლო სხდომაზე, ბრალდებულმა სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით, რომელიც დაკავშირებული იყო დამატებითი მტკიცებულების წარდგენის შესახებ. სასამართლომ ადგილზე თათბირით არ დააკმაყოფილა ბრალდებულის შუამდგომლობა. სასამართლოს განმარტებით, შუამდგომლობა არ აკმაყოფილებს საქართველოს სსსკ 239-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულის შემდეგ, ბრალდებულმა განმარტა, რომ იგი დისკრიმინირებულად გრძნობდა თავს და აპირებდა სასამართლო დარბაზის დატოვებას. მოსამართლე შენიშვნა მისცა ბრალდებულს და მიუთითა, რომ წესრიგი დაეცვა, თუმცა ბრალდებული არ დაემორჩილა მოსამართლის მითითებას. სასამართლო სხდომის მიმდინარეობის 15:06:52 საათზე, სასამართლოს განკარგულებით ბრალდებული გაძევებული იქნა სასამართლო დარბაზიდან და მისი ინტერესების დაცვა დაევალა სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნულ ადვოკატს.

-- -- სასამართლოს მოსამართლის -- -- 2018 წლის 01 სექტემბრის განაჩენით -- -- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ 120-ე და 1261-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის და სასჯელის საბოლოო სახედ, საქართველოს სსკ 59-ე მუხლის საფუძველზე, განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 01 (ერთი) წლის და 09 (ცხრა) თვის ვადით.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა

-- -- 2018 წლის 30 ივლისის №-- საჩივრის საფუძველზე საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვლისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური

პასუხისმგებლობა (სახდელი) დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თავით დადგენილი წესით განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად დადგინდება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის შინაარსიდან და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, უნდა შეფასდეს გვაქვს თუ არა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების მე-9 მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია უზრუნველყოს წესრიგის დაცვა. იმოქმედოს კანონის შესაბამისად და პროცესის დამსწრე ყველა პირისგან მოითხოვოს კორექტული დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ.

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების მე-6 ღირებულების „6.6“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლე იცავს წესრიგსა და ეტიკეტს ყველა სასამართლო განხილვის მსვლელობისას და მოქმედებს მოთმინებით, ღირსეულად და თავაზიანად სასამართლო სხდომის მხარეთა, ნაფიც მსაჯულთა, მოწმეთა, ადვოკატებისა და სხვა პირების მიმართ, რომლებსაც მოსამართლე მიმართავს თავისი ოფიციალური სტატუსიდან გამომდინარე. მოსამართლემ უნდა მოსთხოვოს ასეთივე ქცევა მხარეთა კანონიერ წარმომადგენლებს, სასამართლოს თანამშრომლებს და სხვა მოსამართლის გავლენის, მის დაქვემდებარებაში თუ მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირებს.

ბანგალორის პრინციპების თანახმად, სასამართლო სხდომაზე და მის გარეთ მოსამართლე ყოველთვის თავაზიანი უნდა იყოს და პატივს სცემდეს გარშემო მყოფთა ღირსებას. მოსამართლე ასეთსავე დამოკიდებულებას უნდა მოითხოვდეს სასამართლო განხილვის ყველა მონაწილისაგან, როგორც სასამართლოს თანამშრომლების, ისე სხვა, მის დაქვემდებარებაში თუ კონტროლის ქვეშ მყოფი პირებისაგან. მოსამართლე პირად ანტიპათიაზე მაღლა უნდა იდგეს და არ უნდა გამოყოს სასამართლოში გამომსვლელი ადვოკატებიდან არცერთი. ადვოკატის მისამართით მოსამართლის უსაფუძვლო შენიშვნები, სასამართლო სხდომის მხარეთა ან მოწმეთა მიმართ შეურაცხმყოფელი კომენტარები, გესლიანი ხუმრობა, სარკაზმი და თავშეუკავებელი, ტენდენციური ქცევა არღვევს სასამართლო დარბაზში სასამართლოსათვის შესაფერის წესრიგსა და ეტიკეტს. თუ მოსამართლეს ჩარევა სურს, მისი გამონათქვამის ტონი და მანერა ჩრდილს არ უნდა აყენებდეს მის მიუკერძოებლობას. [1]

განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიჩნია, რომ 2018 წლის 16 ივლისის სასამართლო სხდომაზე მოსამართლე -- -- მიერ განხორციელებული ქმედებებიდან არ იკვეთება დისციპლინური გადცდომის ნიშნები.

რაც შეეხება 2018 წლის 09 ივლისის სასამართლო სხდომაზე მოსამართლე -- -- მიერ ბრალდებულის მიმართ გამოთქმული სიტყვებს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შეფასებით, მიუხედავად, იმისა, რომ მოსამართლემ შესაძლოა არაეთიკურად მიმართა მხარეს, აღნიშნული მიმართვა მხოლოდ პროცესის სრულყოფილად წარმართვისაკენ იყო მიმართული. რაც, მხარეთა

[1] იხ. მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრიციპები და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 196, §215

უფლებების დაცვას ემსახურებოდა.

ბანგალორის პრინციპების თანახმად, მართალია მოსამართლეს ევალება იყოს ზომიერი და თავშეკავებული, თუმცა მოსამართლემ ამავე დროს უნდა უზრუნველყოს პროცესის სწორად წარმართვა, ეფექტური, სწრაფი და ამავე დროს ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელება.

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების თანახმად, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.[2]

ამასთან, ყურადღება უნდა გამახვილდეს, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) №3 დასკვნაზე, რომლის თანახმად, არ იქნებოდა სწორი პროფესიული სტანდარტების დარღვევის გათანაბრება გადაცდომასთან, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს დისციპლინური სანქციები. კერძოდ, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიაჩნია, რომ პროფესიული სტანდარტები, წარმოადგენს საუკეთესო გამოცდილებას, რომლისკენაც ყველა მოსამართლე უნდა მიისწრაფოდეს. ამ სტანდარტების იმ გადაცდომებთან გაიგივება, რომელმაც შეიძლება დისციპლინური პასუხისმგებლობა წარმოშოს გამოიწვევს სტანდარტების სამომავლო განვითარების შეჩერებას და დააკარგვინებს მათ აზრს. იმისათვის, რომ გადაცდომას თან მოჰყვეს დისციპლინური სასჯელი, გადაცდომა უნდა იყოს არა მხოლოდ დისციპლინური სტანდარტების დარღვევა, არამედ სერიოზული და არასაპატიო ქმედება.[3]

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად არ ჩაითვლება ისეთი ქმედება, რომელიც ფორმალურად შეიცავს ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, თუმცა მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩადენისთვის დისციპლინურ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მივიდა დასკვნამდე, რომ მოსამართლე -- -- ქმედება არ შეიცავს დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

ამავე ორგანული კანონის 75[8] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წინასწარი შემოწმების შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აფასებს მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობას და წინასწარი შემოწმებისათვის ამ კანონის 75[7] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საერთო ვადის ფარგლებში, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ. ამ გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ეყრდნობა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

[2] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრიციპები და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 192, §207

[3] იხ. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვა №3 (2002) პუნქტი 60.

წევრს, რომელიც არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რომელიც დისციპლინურ საქმეს დაერთვება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინურ საქმეზე მოკვლეული ფაქტობრივი/სამართლებრივი გარემოებებისა შეფასების საფუძველზე, დადასტურებულად არ მიიჩნია მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. 2020 წლის 09 სექტემბერს სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 11 წევრთაგან 9 წევრმა ხმა მისცა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას. შესაბამისად, ვინაიდან მოსამართლე -- -- მიმართ სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით არ იქნა მიღებულა გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის დაწყების თაობაზე, მოსამართლის მიმართ შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75[8] მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე № -- მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი